საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/16492
18/10/2022

16492-2-08-2-202210181651

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის 2021 წლის 5 თებერვლის, N921/01 წერილის საფუძველზე შეთანხმებული იქნა, „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 ნოემბრის N 2-931 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-14 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით, წარდგენილი ფუჭი ქანების №6 სანაყაროს პროექტი.

ასევე, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებაზე წარდგენილი სკრინინგის განცხადების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ 2021 წლის 7 მაისს გაცემული იქნა ბრძანება (N 2-614) ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ საქასრიას ტერიტორიაზე მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე №6 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდამცავი სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს დღის წესრიგში დადგა ზემოთხსენებულ სანაყაროზე ნაპირდაცვითი კონსტრუქციის და შესაბამისი პროექტის კორექტირების აუცილებლობა, კერძოდ, ფუჭი ქანების №6 სანაყაროს პროექტის კორექტირება განაპირობა სანაყაროს ნაპირდაცვითი კონსტრუქციის ცვლილების აუცილებლობამ, რადგან უშუალოდ გვირაბების მოწყობის სამუშაოების წარმოების პროცესში აღმოჩნდა, რომ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, ყრილის დამცავი კონსტრუქციის ფლეთილი ქვით მოწყობა არის ტექნიკურად შეუძლებელი, ვინაიდან ფლეთილი ქვის ნაპირდაცვითი კონსტრუქციის - ქვანაყარი ბერმის მოსაწყობად ძირითადად გათვალისწინებული იყო 1 მეტრზე მეტი ზომის დიამეტრის ქვების გამოყენება, ხოლო ფაქტობრივად გამონამუშევარი ქანები ნაკლებად შეიცავს მსგავსი ზომის ქვებს. შესაბამისად, ტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ფლეთილი ქვის ნაპირდაცვითი კონსტრუქციის ყორე-ბეტონის კონსტრუქციით ჩანაცვლება და პროექტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მოხდა №6

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

სანაყაროს პროექტის პარამეტრების მცირე კორექტირება და ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობის პროექტის გადამუშავება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სანაყაროს ნაპირდაცვითი კონსტრუქციის ცვლილებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, გიგზავნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საქასრიას მიმდებარედ მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე გამონამუშევარი ფუჭი ქანების №6 სანაყაროს ნაპირადმცავი ნაგებობის (ყორე-ბეტონის კონსტრუქციის) მოწყობის პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და მოგვაწოდოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სანაყაროს სკრინინგის ანგარიში - ელ. ვერსია.

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე